


# სახელმწიფო სერვისების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში

2013-2017



სახელმწიფო სერვისების  
ბანკითარების სააგენტო



საქართველოს  
იუსტიციის  
სამინისტრო

## შესავალი

მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, უცხოელის ნატურალიზაცია საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების გზით ხდება და მისი 5 სახე არსებობს (მე-9 და 31-ე მუხლები):

- საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება *ჩვეულებრივი წესით* (ამ წესით მოქალაქეობის მოპოვება შეუძლიათ მას, ვინც 5 წელი მაინც ცხოვრობდა საქართველოში, იცის ქართული ენა, მუშაობს ან ფლობს ქონებას საქართველოში);
- საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება *გამარტივებული წესით* (ამ წესით მოქალაქეობის მოპოვება შეუძლია მას, ვინც საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინდა და 2 წელია ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს);
- საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება *საგამონაკლისო წესით* (როდესაც არსებობს სახელმწიფო ინტერესი ან პირს აქვს დამსახურება სახელმწიფოს წინაშე);
- საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება *აღდგენის წესით* (მაგალითად, პირი, რომელმაც წარსულში მომართა სახელმწიფოს და თავისი ნებით ოფიციალურად გავიდა საქართველოს მოქალაქეობიდან);
- საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება *სპეციალური წესით* (ამ წესით მოქალაქეობის მოპოვება შეუძლია, მაგალითად, მას, ვინც დაიბადა საქართველოში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო არ ითვლება მოქალაქედ).

მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე და 24-ე მუხლების მიხედვით, სერვისების განვითარების სააგენტო („სააგენტო“) არის ის სახელმწიფო ორგანო, რომელიც მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებებსა და წარდგინებებს იხილავს, შესაბამის დასკვნას ამზადებს და მათ საქართველოს პრეზიდენტს გადაწყვეტილებისათვის წარუდგენს. ამ მიზნების ეფექტურად შესრულებისათვის, სააგენტოში შექმნილია მოქალაქეობის საკითხთა კომისია („კომისია“) სააგენტოს 2, პრეზიდენტის 1 და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 1 წარმომადგენლის მონაწილეობით.

საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, კომისია თავისი 2013-2017 წლების საქმიანობის წინამდებარე ანგარიშს ძირითადად სტატისტიკური მონაცემების სახით აქვეყნებს და მასში იმ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებმაც ბოლო დროს საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

### 1. მოქალაქეობის მინიჭება საგამონაკლისო წესით

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით მიენიჭება თუ:

- არსებობს სახელმწიფო ინტერესი, ან
- განმცხადებელს აქვს დამსახურება ქვეყნის წინაშე.

ნატურალიზაციის სხვა ფორმებისგან განსხვავებით, ზემოხსენებული ორი პირობიდან ერთ-ერთი საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მიღების აუცილებელი საფუძველია და ორივე პირობა შეფასებითი მსჯელობის საგანია.

კომისიის საქმიანობის პრაქტიკამ გამოკვეთა ის გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მიიჩნევა, რომ პირისათვის მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესია. ეს გარემოებები, როგორც წესი, უკავშირდება საქართველოს ისტორიას, მათ შორის უახლეს წარსულში განვითარებულ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებს. მაგალითისათვის, კანონით განსაზღვრული სხვა პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კომისია საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას სახელმწიფო ინტერესად მიიჩნევს იმ პირებისათვის, რომლებიც:

ა) გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის გამო საზღვარგარეთ გაემგზავრნენ და იქ დაფუძნდნენ (ძირითადად, რუსეთის ფედერაციასა და სხვა ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში), მაგრამ ბოლო პერიოდში სამშობლოში დაბრუნებისა და აქ დამკვიდრების სურვილს გამოთქვამენ;

ბ) საქართველოს დროებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან წავიდნენ და თავი საზღვარგარეთ შეაფარეს, დღეს კი ბრუნდებიან სამშობლოში;

გ) წინა პუნქტში მოხსენიებული პირების ოჯახის წევრები არიან და შესაძლოა, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიბადნენ;

დ) ეთნიკური აფხაზები ან ოსები არიან და სურთ დაუბრუნდნენ საქართველოს სამართლებრივ სივრცეს;

ე) ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები არიან და საქართველოს საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევენ;

ვ) უცხოელები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინდნენ, ჰყავთ საქართველოს მოქალაქე შვილები; მათთვის საქართველოს მოქალაქეობა ოჯახის ერთიანობისა და ურღვევობის ხელშემწყობი ფაქტორია, ხოლო წარმომავლობის ქვეყნის მოქალაქეობის შენარჩუნება კი მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს;

ზ) უცხო ქვეყნის ის მოქალაქეები, რომლებიც დიდი ხანია საქართველოში ცხოვრობენ, მუშაობენ, ფლობენ ქონებას, ასევე იციან ქართული ენა ან/და მათ მიერ საქართველოში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიცია;

თ) უცხოელი სპორტსმენები, მეცნიერები ანდა ხელოვნების მუშაკები, რომელთაც საქართველოს სახელით უნდა იასპარეზონ ან იმოღვაწეონ; და სხვ.

ზემოჩამოთვლილი კრიტერიუმები ძირითად გავლენას ახდენდა და კვლავაც ახდენს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის მიერ გამოცემული დასკვნების შინაარსზე, რაც ჩანს კიდევ ნათლად მისი საქმიანობის ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებში.

2013 წელს კომისიამ 8 877 მოქალაქეობის საქმე განიხილა, რომელთაგან 6 440 საქმეზე დადებითი დასკვნა გამოსცა და საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შუამდგომლობით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა. 6 440-დან 5 737 პირი ან საქართველოში დაბადებული (4 774 პირი), ან საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე (3 205 პირი), ან კიდევ მათი ოჯახის წევრი იყო.

2013 წელს, საქართველოს პრეზიდენტს კომისიის მიერ მისთვის წარდგენილ დადებით დასკვნაზე უარყოფითი გადაწყვეტილება არ მიუღია.

ზემოხსენებული 6 440 უცხოელიდან, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მომენტისათვის, 5 122 უცხოელი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ერთ-ერთი სახელმწიფოს მოქალაქე იყო, 606 პირი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, 353 პირი ამერიკული სახელმწიფოების, 336 პირი აზიური სახელმწიფოების, 10 პირი არაბული სახელმწიფოების, 4 პირი აფრიკული სახელმწიფოების, ხოლო 9 პირი - სხვა სახელმწიფოების მოქალაქე.

ინფორმაციისთვის, 2013 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა, მისთვის კანონით მინიჭებული პრეროგატივის ფარგლებში, პროცედურის დაუცველად და შესაბამისად კომისიის მიერ საქმეთა შესწავლის გარეშე 3 187 პირს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. მათგან ძირითადი ნაწილი (2 763 პირი) თურქეთის, დანარჩენი კი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ.

## 2014 წელი

2014 წელს კომისიამ მოქალაქეობის 6 918 საქმე განიხილა. მათგან 4 574 შემთხვევაში დადებითი დასკვნა გამოიცა და ისინი საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შუამდგომლობით საქართველოს პრეზიდენტს გადაეგზავნა. 4 574-დან 3 985 პირი ან საქართველოში იყო დაბადებული (3 185 პირი), ან საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე (2 030 პირი), ან კიდევ მათი ოჯახის წევრი იყო.

2014 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა კომისიის მიერ მისთვის წარდგენილი 4 574 დადებითი დასკვნიდან 26 პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შუამდგომლობა უარყო, ხოლო დანარჩენ 4 548 უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

იმ 26 პირიდან, რომელთა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ რეკომენდაცია პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა, 19 პირი საქართველოში იყო დაბადებული, ხოლო 7 პირი საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე, ან კიდევ მათი ოჯახის წევრი იყო.

კომისიის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ დადებითი დასკვნის გამოცემის მომენტისათვის, ზემოხსენებული 4 574 უცხოელიდან 3 433 პირი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ერთ-ერთი სახელმწიფოს მოქალაქე იყო, 539 პირი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, 311 ამერიკული სახელმწიფოების, 272 აზიური

სახელმწიფოების, 3 პირი არაბული სახელმწიფოების, 2 აფრიკული სახელმწიფოების, 14 პირი კი - სხვა სახელმწიფოების მოქალაქე.

ინფორმაციისთვის, 2014 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა, მისთვის კანონით მინიჭებული პრეროგატივის ფარგლებში, პროცედურის დაუცველად და შესაბამისად კომისიის მიერ საქმეთა შესწავლის გარეშე 20 პირს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. მათგან 10 რუსეთის, დანარჩენი კი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ.

## 2015 წელი

2015 წელს კომისიამ 5 543 მოქალაქეობის საქმე განიხილა, რომელთაგან 4 283 საქმეზე დადებითი დასკვნა გამოსცა და საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შუამდგომლობით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა. 4 283-დან 3 724 პირი ან საქართველოში დაბადებული (2 824 პირი), ან საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე (1 817 პირი), ან კიდევ მათი ოჯახის წევრი იყო.

2015 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა კომისიის მიერ მისთვის წარდგენილი 4 283 დადებითი დასკვნიდან 13 პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შუამდგომლობა უარყო, ხოლო დანარჩენ 4 270 უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

იმ 13 პირიდან, რომელთა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ რეკომენდაცია პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა, 9 პირი ან საქართველოში იყო დაბადებული, ან საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე, ან კიდევ მათი ოჯახის წევრი იყო.

კომისიის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ დადებითი დასკვნის გამოცემის მომენტისათვის, ზემოხსენებული 4 283 უცხოელიდან 2 993 პირი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ერთ-ერთი სახელმწიფოს მოქალაქე იყო, 567 პირი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, 397 ამერიკული სახელმწიფოების, 294 აზიური სახელმწიფოების, 9 პირი არაბული სახელმწიფოების, 4 აფრიკული სახელმწიფოების, 19 პირი კი - სხვა სახელმწიფოების მოქალაქე.

ინფორმაციისთვის, 2015 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა, მისთვის კანონით მინიჭებული პრეროგატივის ფარგლებში, პროცედურის დაუცველად და შესაბამისად კომისიის მიერ საქმეთა შესწავლის გარეშე 20 პირს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. მათგან 5 რუსეთის, 3 გერმანიის, 3 ირანის, დანარჩენი კი სხვა ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ.

## 2016 წელი

2016 წელს კომისიამ 5 864 მოქალაქეობის საქმე განიხილა, რომელთაგან 4 617 საქმეზე დადებითი დასკვნა გამოსცა და საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შუამდგომლობით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა. 4 617-დან 3 759 პირი ან საქართველოში დაბადებული (2 866 პირი), ან საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე (1 624 პირი), ან კიდევ მათი ოჯახის წევრი იყო.

2016 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა კომისიის მიერ მისთვის წარდგენილი 4 617 დადებითი დასკვნიდან 40 პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შუამდგომლობა უარყო, ხოლო დანარჩენ 4 577 უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

იმ 40 პირიდან, რომელთა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ რეკომენდაცია პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა, 33 პირი ან საქართველოში იყო დაბადებული, ან საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე, ან კიდევ მათი ოჯახის წევრი იყო.

კომისიის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ დადებითი დასკვნის გამოცემის მომენტისათვის, ზემოხსენებული 4 617 უცხოელიდან 3 330 პირი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ერთ-ერთი სახელმწიფოს მოქალაქე იყო, 474 პირი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, 399 ამერიკული სახელმწიფოების, 386 აზიური სახელმწიფოების, 6 პირი არაბული სახელმწიფოების, 7 აფრიკული სახელმწიფოების, 15 პირი კი - სხვა სახელმწიფოების მოქალაქე.

ინფორმაციისთვის, 2016 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა, მისთვის კანონით მინიჭებული პრეროგატივის ფარგლებში, პროცედურის დაუცველად და შესაბამისად კომისიის მიერ საქმეთა შესწავლის გარეშე 20 უცხოელს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. მათგან 10 თურქეთის, დანარჩენი კი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ.

## 2017 წელი

2017 წლის 1 იანვრიდან 9 ოქტომბრამდე კომისიამ 5 321 მოქალაქეობის საქმე განიხილა, რომელთაგან 3 097 საქმეზე დადებითი დასკვნა გამოსცა და საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შუამდგომლობით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა. 3 097-დან 2 550 პირი ან საქართველოში დაბადებული (1 945 პირი), ან საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე (1 072 პირი), ან კიდევ მათი ოჯახის წევრი იყო.

2017 წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პრეზიდენტმა კომისიის მიერ მისთვის წარდგენილი 3 097 დადებითი დასკვნიდან 97 პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შუამდგომლობა უარყო, ხოლო დანარჩენ 3 000 უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

იმ 97 პირიდან, რომელთა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ რეკომენდაცია პრეზიდენტმა არ გაითვალისწინა, 74 პირი ან საქართველოში იყო დაბადებული, ან საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე, ან კიდევ მათი ოჯახის წევრი იყო.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული 97 პირის შესახებ უარყოფითი გადაწყვეტილებიდან 64 უარი მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც 2017 წლის 1 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა საჯაროდ გამოაცხადა მოქალაქეობის მინიჭების სფეროში მის მიერ პოლიტიკის გამკაცრების შესახებ (კრიტერიუმები ამ ეტაპზე უცნობია). 97-დან 70 პირი იყო საქართველოში დაბადებული, 27 კი - საქართველოს ყოფილი მოქალაქე ან საქართველოს მოქალაქის/საქართველოში დაბადებული პირის ოჯახის წევრი.

კომისიის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ დადებითი დასკვნის გამოცემის მომენტისათვის, ზემოხსენებული 3 097 უცხოელიდან 2 363 პირი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ერთ-ერთი სახელმწიფოს მოქალაქე იყო, 277 პირი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, 219 ამერიკული სახელმწიფოების, 221 აზიური სახელმწიფოების, 1 პირი არაბული სახელმწიფოების, 5 აფრიკული სახელმწიფოების, 11 პირი კი - სხვა სახელმწიფოების მოქალაქე.

მიმდინარე წელს საზოგადოების მხრიდან გამოხატული მაღალი ინტერესის შესაბამისად, ცალკე გამოვყოფთ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან 9 ოქტომბრამდე, კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტმა მოქალაქეობა 79 ფერეიდნელ ქართველს მიანიჭა. მოცემულ საქმეებზე დადებითი დასკვნის შემუშავებამდე, სააგენტომ მჭიდროდ იმუშავა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასა და არასამთავრობო შესაბამის დაწესებულებასთან.

ინფორმაციისთვის, 2017 წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს პრეზიდენტმა, მისთვის კანონით მინიჭებული პრეროგატივის ფარგლებში, პროცედურის დაუცველად და შესაბამისად კომისიის მიერ საქმეთა შესწავლის გარეშე, 8 პირს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. მათგან 3 რუსეთის, 3 გერმანიის, დანარჩენი კი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ.

## 2. ნატურალიზაციის სხვა სახეები

2013 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 9 ოქტომბრამდე, სააგენტომ საგამონაკლისო წესით მინიჭების საკითხის გარდა, მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვების 851 საქმე განიხილა, რომელთაგან 705 საქმეზე დადებითი დასკვნა გამოსცა და საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შუამდგომლობით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა.

705-ვე საქმეზე საქართველოს პრეზიდენტი სააგენტოს შუამდგომლობას დაეთანხმა.

კერძოდ, სააგენტოს მიერ განხილულ იქნა საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების 168 საქმე, რომელთაგან დადებითი დასკვნა შედგენილ იქნა 128 პირის მიმართ. 128 პირიდან 123 საქართველოში იყო დაბადებული.

საანგარიშო პერიოდში სააგენტომ განიხილა საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების 544 საქმე. დადებითი დასკვნა მომზადდა და საქართველოს პრეზიდენტს გადაეგზავნა 508 საქმე. მოცემული 508 პირიდან 55 საქართველოში იყო დაბადებული, 299 აზერბაიჯანში, 145 უზბეკეთში, დანარჩენი 9 კი - სხვა ქვეყნებში.

სააგენტომ ასევე განიხილა საქართველოს მოქალაქეობის ჩვეულებრივი წესით მინიჭების 98 საქმე და მათზე 52 დადებითი დასკვნა გამოსცა. მოცემული 52 პირიდან 29 საქართველოში იყო დაბადებული.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეობის სპეციალური წესით მინიჭებას, საანგარიშო პერიოდში სააგენტომ 41 საქმე განიხილა, რომელთაგან 17 დადებითი დასკვნით დასრულდა. 17-ვე პირი საქართველოში იყო დაბადებული.

## დასკვნა

მთლიანობაში, 2013-2017 წლებში, კომისიის მიერ საგამონაკლისო წესით მინიჭების 32 523 განაცხადი იქნა განხილული, რომელთაგან **23 011 საქმეზე** დადებითი დასკვნის სახით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების რეკომენდაცია გაიცა.

კომისიის დადებითი დასკვნების 86% შემთხვევაში, რეკომენდაცია საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ გაიცა იმ პირებზე, ვინც ან საქართველოში დაბადებული, ან საქართველოში დაბადებული და ამავდროულად საქართველოს ყოფილი მოქალაქე, ან კიდევ მათი ოჯახის წევრი იყვნენ.

კომისია მადლობას უცხადებს მასში მონაწილე სახელმწიფო უწყებებს, ასევე არასამთავრობო დაწესებულებებს გადაწყვეტილებების მიღებაში გაწეული რჩევისა და დახმარებისათვის.